№ 142 16 მკათათვე, კვირა 1866–1878 16 მკათათვე, კვირა № 142

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

# დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

**რედაქცია:** სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში, № 8.

**კანტორა რედაქციისა:** სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლებში, № 8.

**ხელის-მოწერა** მიიღება კანტორაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

**გაზეთის ფასი:** მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

**განცხადება:** მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

**ფასი განცხადებისა:** დიდი ასოებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

**რედაქციას უფლება** აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

მიიღება ნახევარი წლის ხელის-მოწერა გაზეთს

## „დროებაზე“

ფასი ნახევარი წლის გაზეთისა (პირველ ივლისიდამ პირველ იანვრამდინ 1879 წლისა) 4 მან. და 50 კაპეიკი.

**ხელის-მოწერა მიიღება:** თფილისში, (სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლებში, № 8). ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.*

## ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

**ათინა,** რვას ივლისს. სამინისტრო ორგანი ეოზოკოპი, უარს ჰყოფს, სხვა ბერძნის გაზეთების სიტყვებს და გვარწმუნებენ, რომ პორტა მზათ არისო; მიიღოს მხედველობაში—საბერძნეთის სურვილი, საზღვრების შესწორებაზე. და ამ გვარათ საქმე გათავდებაო. მშვიდობიანათ კონგრესის საზოგადო სურვილისამებრ.

**ლონდონი,** 14 ივლისს. პაუენმა წარუდგინა ქვემო პალატაში პეტიცია, რომელიც შემდგარია ინგლისის ჩრდილოეთის ქალაქების და ლონდონის საჩინო პირებისაგან. ამ პეტიციით ეს პირნი ითხოვენ, რათა ბიკონსფილდი იყოს დასახული ბრალდებულის მდგომარეობაში.—ბორკმა, როცა გლადსტონის უპასუხებდა, სთქვა: საქვეყნოდ გამოცხადება რუსეთის საწინააღმდეგო შემორანდუმისა შეუძლებელია, სხვა დოკუმენტების გამოუაშკარავებლად. ამაზედ საჭიროა სხვა სახელმწიფოების ნება-რთვის მიღება. ერთმა სახელმწიფომ უთანხმოება კიდეც გამოაცხადა ამ დოკუმენტების გამოაშკარებაზედ.

**ვენა,** 14 ივლისს. აქაური გაზეთების სიტყვით ზღვის მთავრობამ გამოსცა ბრძანება, რათა შეკრული იყოს ამაფეთქებელი მანქანეებით შესავალი ნავთსადგურის კლეკისა და კლეკის კანალისა.

**ლონდონი,** 12 ივლისს. ინგლისის დედოფალმა მიკიტორიამ უბოძა მარკიზა სალისბურის ორდენი ბოდვიასკისა. ტაიმსის გაზეთის პარიჟელი კორრესპონდენტი აცხადებს თავის გრძელ საუბარს გამბეტტასთანა, რომელიც, მისი სიტყვით, საზოგადოთ აქებს ბერლინის მორიგებასა და რაცხავს მას მიზეზათ, რომელიც დაარღვევს სამთა იმპერატორთა კავშირსა, დაახლოებს ფრანციის და ინგლისის ინტერესებსა და დიდი ხნობით შეუძლებელსა ჰხდის ფრანციის რუსეთთან საერთო საქმის დაჭერასა.

**ვენა,** 13 ივლისს. პოლიტიკური კორრესპონდენცია გვატყობინებს კონსტანტინოპოლიდგან: საბერძნეთის მთავრობა, წინააღმდეგ ოსმალეთის უარისა, ითხოვს ხონთქრის მმართებლობისაგან დანიშნოს კამმისიარები საბერძნეთ ოსმალეთისა საზღვრ. შესასწორებლად. ხონთქრის მმართებლობამ არა ფერი პასუხი მისცა ჯერეთ. ისმის კი, რომ მათ განზრახვა, რა მიწებზედ მომეტებულს იგი არ დაუთმობს საბერძნეთსა; ეს მიწები შეიცავენ იმ ქვეყანას, რომელიც ზაგრის იქით მარღარიტამდის ძევს და რომელიც შეიცავს ვოლოს და ფარსალოსა, მაგრამ მის გარეთ რჩებიან ტრიკალა და ენინა.

**ლონდონი,** 14 ივლისს. ბიკონსფილდმა მოახსენა ლორდების პალატასა: გიდროგრაფიული განყოფილების შემოწმებით ბათუმის ნავსადგური ისეთი მცირეა, რომ ლუზზედ დგომა აქ შეუძლიანთ ერთათა მარტო სამ ჯავამნიან ხომალდხა.—

## საქართველო

(„დროების“ კორრესპონდენცია)

**გორი,** 12 ივლისს. მოგეხსენებათ, რომ 1874-ში და 1875-ში ქ. გორში, არც სამოქალაქო და არც მეშჩანების უპრავა იყო გახსნილი. ამისათვის სამო-

## ფელეტონი

### უფალო რედაქტორო!

მზაზედ ერთი წიგნი ვიპოვნე.—ვისიც ხელმოწერილი იყო, იმისი სახლი არ ვიცოდი და არც იმისი, ვისთანაც იყო მიწერილი... ჯერ წაკითხვას ვერა ვბედავდი, უწესობათ ვრაცხდი, მაგრამ სულმა წამძლია და—თვალი ჩავავლე... თავისუფლათ ამოვისუნთქე, როდესაც გავიგე რომ ცოტაოდენი ლიტერატურული მნიშვნელობა ჰქონდა ამ წიგნით გამოლაპარაკებას და როგორც ამ საფუძველზედ, აგრეთვე იმ აზრით, რომ თქვენის გაზეთის საშუალობით, ეგება მიახწიოს-მეთქი იმ პირამდის, ვისთანაც არის მიწერილი,—ვგზავნი თქვენთან დასაბეჭდათ, იმ იმედით რომ აღარ დამიბრუნებთ, რადგან აღარც მე ვიცი ვის გავუგზავნო.

თ. რაფ. ერისთავი

„დაო ნინო!

დღეს ბაზარშიდ ვიყავ, ლეჩაქი ვიყიდე, რაცლა გაზეთაში გამიხვიეს... შინ რომ მოველ, გავხსენ და უნებურათ თვალი ჩავავლე იმ გაზეთას... შიდ შენი სახელი ამოვიკითხე... ვნახე, ვითომ შენგნივ მონაწერი წიგნი იყო დაბეჭდილი.. მე მპლუტო, შენა!.. დასტურ შენ მოიწერე?.. აჰ! არა მჯერა... ჯერ ქე შენი ნაწერი მეგონა მეცა და მერმე და მერმე რომ ჩაუკვირდი, ქე მიეხდი რომ შენის სახელობით იყო დაწერილი ის წიგნი... შენის სახელობითა-თქვა... ისიც არ ვიცი შენის სახელობითაა, თუ სხვისა, იმიზდა რომ, აწერია; „ნინა“ (აგი ხომ ქალის სახელია?) და მერე მიუწერავს კაცის გვარი... შენს გვარს ქე ჩამოჰგავს... რა ფერაა აგი?... ვერა გავიგე-რა!... რავარც უნდა იყოს, მე კი მეწყინა რომ, ვინცალა ყაზილარი გამოსულა და სარგებლობს შენის სახელითა... (თუ შენა ჰყვანდი სახეშია?...)

მაშინათვე კი ვიფიქრე: ნინო რომ გადაიკითხამს, იტყვის-თქვა: „ვინაა, რომ თავი აუგდია და ჩემის სახელობით წიგნებს აგზავნისო...“ მე კი დასტურ მიეხთი, რომ შენი ნაწერი არ იყო... მართალია, რუსული ქე იცი ცოტა-მატა, მარა, ვინ შენა და ვინ ის სიტყვები, რომლებსაც ვერც კი გამოსთქვამ: „პუბლიცისტიკა, ინტელლეგენციაო...“ რა

ქალაქო ფულის ამკრეფათ არჩეული იყო გორელებისაგან აქაური მცხოვრებლები გიორგი ოქრო მჭედლოვი, რომელმაც ამ ორ წელიწადში აღასრულა თავის ვალდებულება:

როცა 1876-ში გორის უპრავა გაიხსნა და 1877-ში მეშჩანების უპრავაც, მაშინ ამ უპრავის მმართველებმა კამისია დანიშნეს ანგარიში მოეთხოვათ ოქრომჭედლოვისათვის და შეეტყო რამდენი აუკრებია, ანუ რამდენი შეუტანია ხაზინაში. ეს კომისია იქნება აგერ ათი დღე შეუდგა ამ საქმის გაჩხრეკას და იპოვეს, რომ ფულის ამკრეფს ოქრომჭედლოვს ისე არ უმოქმედნია რაც კანონი ნებას აძლევს. მაგალითად, ოქრომჭედლოვს ებარა 4 ფულის გამწესებისგან გაწერილი დავთარი გორში მოსახლეს ვის რა ეწერა და ოთხივეს ხელსედ ეწერა ოქრომჭედლოვს უნდა დავთარი გაეშინჯა ვისზედაც რა იყო და ისრე გამოერთმია. მაგრამ თქვენ არ მამიკვდეთ იმას ამ წიგნებისთვის ზედაც ზედაც არ შეეხედნა; კანონიერად გაწერილი ფულის დავთარი შეუნახამს და თითონ თავის ფანტაზიით ვისთვისაც რა სდომებია ის გამოურთმევია, ესე იგი ზოგისთვის მეტი და ზოგისთვის ნაკლები. აგრეთვე კამისიამ იპოვა რომ ხალხისგან კერძო კვიტანციით ფული აუკრეფია და ხაზინაში არ შეუტანია და კვიტანციონი დავთარი სულ წაშლილია. ოქრომჭედლოვს ეხლაც უდევს ჯიბეში სახაზინო ფული 2100 მანეთი.

კამისიამ ეს საქმე აღარ უნდა გაუშვას ხელიდამ და საჩქაროთ ჯეროვანს ალაგას უნდა აცნობონ, ქალაქმა თავის ფული მიიღოს და ხაზინის ვალი არ წამოიდოს და დამნაშავეც დაისაჯოს; დღეს ერთს შერჩება ხვალ მეორესა ამ ნაირი ქალაქს ცარცვა და სხვა უარესს გვიზამს. ამ საქმეს თუ საჩქაროთ ყურადღებას არ მიაქცევს კამისია, მაშინ ის მართალი იქნება, როგორც ლაპარაკობს მთელი გარემოება, რომ ოქრომჭედლოვი ისრეთი მოხერხებული კაციაო, რომ კამისიის ჩლენებს ოცოც თუმანს მისცემსო და ამ საქმეს ჩაფარცხავსო.

9 ამ თვეს გორში ერთი შესანიშნავი ანბავი მოხდა: დილის 10 საათზედ ბაზარში მოისმოდა ხალხის ყვირილი; ვნახეთ, რომ გორში მცხოვრებლის შიო მჭედლიძეს გაუტიტვლებია თავის 16 წლის ვაჟი დედიშობილა, გაუშავებია სარჟით, მარჯვენა ხელზედ მოება თოკი, მიეცა ოცი წლის ბიჭისათვის და ბაზარ-აზარ ატარებდა. ხალხმა ჩქარა გააგდებინა. მიზეზი ესა სთქვა მამამ: ფულებსა მპარამს ხოლმეო;—ფულებსა მრჩება ხოლმეო, რომ ვაყვიდინო რამეო.

გორელი.

---

## წერილი რედაქტორთან

შ. რედაქტორო! უმორჩილესათ გთხოვთ, რომ თქვენ პატივცემულს „დროებაში“ ალაგი დაუთმოთ და დაბეჭდოთ ესე წერილი.

ისე ცუდათ და საზიზღრათ არ სად არ მიდის შკოლებში ქართულ ენის სწავლა მთელს თფილისის გუბერნიაში, როგორც თვით თფილისის სახალხო შკოლებში როგორც უეზდის ქალაქებისა, აგრეთვე, სოფლის სასწავლებლებზე და მასწავლებლებზე ხშირათ ყოფილა ხოლმე ლაპარაკი ჩვენს გაზეთებში, რომ მასწავლებლები ქართულს, სამშობლო, ენას კარგათ ვერ ასწავლიანო; ხშირათ საყვედურებიც და მადლობაებიც წაგვიკითხავს, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროთ, ჩვენი თფილისის სახალხო შკოლებისათვის და მასწავლებლებისათვის კი ყურადღება არ მიუქცევია და არაფერი არა დაუწერიათ-რა, კრინტი არ დაუძრავს; არც ერთ გაზეთში არავის ხმა არ ამოუღია დღევანდელამდე, დღეს კი მომიხდა მე ორიოდე სიტყვით ლაპარაკი მკითხველებთან.

მე დამივლია მთელი თფილისის სახალხო შკოლები, დამითვალიერებია და კარგათაც შემინიშნია თუ რა ნაკლულევანება მიუძღვის წინ, მარამ მე არ გამოუდგები დაწვლილებით აღწერას თვითეულის ნაკლულევანებისას, რომელიც მთელ თფილისის სახალხო შკოლის მასწავლებლებს მიუძღვის წინ დაუყოვნებლივ. ეს კი დიდი ცოდვაა, რომ სამშობლო, დედა, ენას ქართულ სამოქალაქო მდაბიურს შკოლებში არ ასწავლიან; ვინ იცის, იქნება ზოგიერთმა ჩვენთაგანმა კიდეც იცოდეს ეს ამბავი, მაგრამ კრინტი კი არ დაუძრავთ გაზეთში იქნება კიდეც იწყინოს ზოგიერთმა მკითხველთაგანმა, კადნიერებაში ჩამამართოს, და მომცეს კითხვები: „როგორ თუ არ ასწავლიან? მაშ ვისთვის არის დანიშნული თფილისის მართლმადიდებლების სახალხო შკოლები, თუ კი ქართველები ქართულს არ ასწავლიან?!“ მე შემიძლიან პირნათლათ მიუგო ამ კითხვაზე, რომ არამც თუ „ქართულში“, არამედ სხვა საგნებშიაც ორთავ ფეხებით კოჭლობენ. მაგრამ რადგან ჩვენ ვლაპარაკობთ ქართული ენის შესახებ, ამიტომ მასზე მოვიხსენოთ რამდენიმე სიტყვა: „რა მიზეზია, რომ ქართული ენა იმ შკოლებში ასე დავარდნილია და მერმე, ან რათ რჩებიან იგი შკოლები გაუცნობლათ ჩვენს გაზეთებში, როდესაც თვალ-წინ გვიდგანან?! აი რა მიზეზია: ამ ჟამად თფილისში ცხრა სავაჟო და რვაც საქალო შკოლებია, სადაც ქართველები ყოველთვის აღემატებიან (ბევრნი არიან), მარამ ყველა სასწავლებლებში კი არაა ეს უკანასკნელი. ვისთვის და არიან დაარსებულნი ეს შკოლები,

---

ვიცი, რაცლა უბედურობაა?... საჭმელია აგი, თუ სასმელი, კაცმა არ იცის! იქნება ლანძღვაც ქე იყო?... მეწყინა, დედა არ წამიწყდება, შენი ასთე აგდება!.. გატეხილს გეტყვი, არ მომიკვდეს შენი თავი!...

ჩვენდა რომ ვსთქვათ, იმწიგნში გამოყვანილი აზრი, ქალებზედ დასარჩლებისა,—არაა ცუდი, მარა, მე თუ მესმის რამე, იგი ისთე შენი ნაწერი არაა, რავაც ჩვენი ხუცის ნაქადაგები... და ამასაც გეტყვი ყურშიდ: კაი ხუმრობაა, თუ კაცმა დაწერა და შენს იუპკას ქე იფარებს! . . ვიშ საყვარელო! . . . ვითომ რა მქეიანო? . . .

თუ კი მიეაგენ რომ ის წიგნი კაცის ნაწერია, ის უმფრო ადვილი მისაგნებია რომ ჩვენებურის ნაწერი მაინც არაა, რადგან ჩვენებური კილო სულ არ ახლავს.

ღარიბებისდა ჩივა ი[illegible]უბედური, ვინცლაა, მაგრამ ვინაა რომ გაუგონებს? . . ქალების სწავლასა და უფლებაზედაც იბჭობა იგი, მაგრამ, ვინ მოგვცა, ქალებს უფლება... აგი თუა უფლება [illegible] და შენ რომ ბაზარშიდ წავიდეთ მარტოვა და თითო ლაჩაქი ვიყიდოთ? . . ან, კიდევ, ბალნების ზედა მხედაობა მოგვეცეს? . . . ვიშ საყვარელო! . . კაი ყოფილა! . . ბარემ მეც ქე ვარ მიხვედრილი, ი ოხერი, რაცლაა უფლება, მარა, ვინ მოგვცა? . . ვინ ჩაგიგდო ხელში? . . კაი ჯამაგირიანს კი არას დაგანებებს კაცი და ისთე სათრევლათ—არც ჩვენ გვინდა. . . დასტურ, ტყეში კი არა ვცხოვრობთ, რომ არა გვესმოდეს რა! . . ჩვენთვის ღმერთი, თუ იზრუნებს როდისმე, თვარა იმ წიგნშიდ რომ უბნობს: სტუდენტებიო. . . არ გაგიწყრეს ღმერთი! . . ვინცლა ჟღარტეპის [illegible] ნუ გექნება . . .

კმარა. რაღაიზღა შეგაწყინო თავი?.. შენც ქე მიხვდი ყველას. . . მეტი აღარც მე შემიძლიან: სულ მაციებ-მაცხელებს აღარც წამალი წამადგა რასმეს... მერე, ეს დასაქცევი დოხტურები ისეთს მწარეს იძლევიან... ფული კი ბევრი მიაქვთ, ტყვილა. . .

შენი გადია, თამარიკა, მომიკითხე, თუ გიყვარდე და ცოტა მძალე და ტყემლის წუა მითხოვე. . . მემჟავება რაცლა. . .

ერთი ორი კალამი შენც მომწერე, თუ ქალიხარ.

შენი და, ევფროსინე შეხეთქებულილიძისა.

3 ქრისტიშობისთვეს 1877 წელსა.
ქ. ქუთაისი

თუ არ ხალხისათვის ისიც ქართველისათვის, გლეხის შვილებისათვის, რომელთაც უნდა ისწავლონ წერა-კითხვა და შემდგომ შევიდნენ სახელოსნოში რამე ხელობაზე, როგორც გარემოება მისცემს ნებას!

მთელ თფილისის სახალხო შკოლებში იმყოფებიან ქართველის და რუსის ყმაწვილები, აი ჯერ თაწმიდის სახალხო შკოლაში ნახევარზე მეტი ქართველები არიან (რიცხვით 60 თუ რამდენიღაც არის) და ქართული წერა, კითხვა და ლაპარაკი არ იციან ხეირიანათ! როგორც მთაწმიდის ეგრეთვე სხვა შკოლებშიაც მაგ-ნაირი უწესოება ჰსუფევს, თუმც ვალდებულნი არიან რომ უთუოთ უნდა ასწავლონ. ერთი სიტყვით, მთელი ქალაქის სახალხო შკოლები რომ დაიაროთ, ვერსად ვერ ნახავთ, რომ რომელსამე შკოლაში ქართულს წერა კითხვას ასწავლიდნენ. ამის მიზეზი ის არის რომ ერთი შკოლაში არ არის იმისთანა ახალგაზდა, რომელსაც კი მიეღოს ჯეროვანი განათლება.

თქვენ იქ ნახავთ მასწავლებლებათ: ზოგს შტაბში მოსამსახურეს და ზოგს ნამსახურ პისრებს, ზოგ ვი სა და ზოგ ვისა, რომლებსაც არამცთუ ქართულის ენისა არამედ რუსულისაც არაფერი არა გეეგებარა!..

აშკარა საქმეა, რომ ყმაწვილები ქართულ ენას ვერ ისწავლიან. ჩვენ გვიკვირს ძალიან, რომ თფილისში ვინც ათავებს სასულიერო სემინარიის, ანუ ინსტიტუტის სწავლას, მაშინვე მიდიან სხვაგან და აქ კი რჩებიან ამისთანა უმეცარი მასწავლებლების. უფრო უმჯობესი არ იქნებოდა რომ ეს ახალგაზდა ყმაწვილები გამწესებულიყვნენ აქვე, ვინემდისინ სხვა მხარეებში, მაგალით წრეულ ინსტიტუტში გაათავა 15 შაგირდმა სულ ქართველებმა, მაგრამ, ჩვენ და საუბედუროთ, ერთიც არ დარჩენილა აქ: ერთს შამახიაში, მეორეს დერბენდში და ვინ იცის სად არ გამწესდნენ. ეს ახალგაზდები თუ კი ისევ ისე აქ დატრიალებულიყვნენ, გარწმუნებთ, რომ დიდ სარგებლობას მოუტანდნენ...

თფილისის გლეხ-ქართველებში მიგანათლების სწავლა ძალიან ცუდათ დის. ეს იმით აიხსნება რომ პირველ დაწყებით მაინცა და მაინც არ ასწავლიან ქართულ ენას. ამ ჟამად მთელმა მთაწმინდელებმა და სხვა ქალაქის ნაწილებიდგან შესწყვიტეს თურმე ყმაწვილების გაგზავნა. მიზეზი, როგორც შევიტყვე, ყოფილა ის, რომ „ქართულს არ ასწავლიანო“. აბა რათ მოვაცდინო ჩვენი შვილები და ტყუილ უბრალოთ ვათრიოთ იქაო? ნუ თუ უფრო უმჯობესი არ იქნებაო, რომ რამე ხელობაში მივცეთო და ისევ ოსტატთან ისწავლონ ქართული წერა-კითხვა და ანგარიში ქართულიო.

ზ. მთაწმინდელი

# ომის შემდეგ

## ბერლინის ტრაქტატი

სახელითა ყოვლად-შემძლებელიის ღვთისათა.

მისს უდიდებულესობას იმპერატორს გერმანიისას, კოროლს პრუსიისას, მის უდიდებულესობას იმპერატორს ავსტრიისას, კოროლის ბოლემიისას და სხვ. მოციქულებრივ კოროლს ვენგრიისას, საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს, მის უდიდებულესობას ინგლისის და ირლანდიის კოროლევას, ინდიის იმპერატრიცას, მისს უდიდებულესობას იტალიის კოროლს, მის უდიდებულესობას იმპერატორს სრულიად რუსეთისას და მის უდიდებულესობას ოთომანების იმპერატორს, სურდათ რა ევროპაში წესიერების დაცვა თანხმად პარიჟის 30 მარტის 1856 წლის პირობის შეკრულობისა, ალქრულნი აღმოსავლეთის ომით, რომელსაც ბოლო მოეღო სან-სტეფანოში პირობის შეკრულობით, დამყარდნენ იმ ჰაზრზედ, რომ კონგრესსის შედგენა არის საუკეთესო საშუალება ერთმანერთში მორიგებისა.

ზევით ნახსენებ უდიდებულესობათ და საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა, თანხმად ამისა დანიშნეს თავეთ წარმომადგენლად შემდეგნი პირნი:

მისმა დიდებულებამ გერმანიის იმპერატორმა, კოროლმა პრუსიისამ:

უფალი ოტონი, თავადი ბისმარკი თავის პრეზიდენტი პრუსიის მინისტრების რჩევისა, კანცლერი იმპერიისა.

უფალი ბერნარდ-ერნესტ ფონ ბიულოვი, თავის მინისტრი და სახელმწიფოს სეკრეტარი უცხოთა საქმეების დეპარტამენტისა, და

უფალი ქლედვი, კარლ ვიკტორი, თავადი ღილენლოო, შილინდი ფიურსტი, თავადი რატიმორი და კორვეი, თავის წარმომადგენელი საფრანგეთის რესპუბლიკის წინაშე, ობერ-კამერღერი ბავარიის სასახლისა;

მისმა დიდებულებამ იმპერატორმა ავსტრიისამ, კოროლმა ბოლემიისამ და სხვა. და მოციქულებრივმა კოროლმა ვენგრიისამ:

უფალი იულია გრაფი ანდრაში დე-ჩიკ-ცენტ-კირი და კრასნი გორკა, გრანდი ისპანის პირველის კლასსისა, ნამდვილი ტაინი სოვეტნიკი, თავის მინისტრი საიმპერატორო სასახლისა და გარეთა საქმეთა ფელდმარშალ-ლეიტენანტი თავის ჯარებისა;

გრაფი ლუდვიგი, კაროლი ნადპივარალი, კამერღერი და ტაინი სოვეტნიკი, წარმომადგენელი გერმანიას მისი იმპერატორების დიდებულების და პრუსიის კოროლის სასახლის წინაშე;

ბარონი მარიხი [illegible] ტაინი სოვეტნიკი, წარმომადგენელი მისი იმპერატორების დიდებულების იტალიის სასახლის წინაშე.

პრეზიდენტმა საფრანგეთის რესპუბლიკისამ:

უფ. ულიამ ღენრი ვადინგტონი, სენატორი, წევრი ინსტიტუტისა, მინისტრი სტატს-სეკრეტარი გარეშე საქმეთა დეპარტამენტში;

უფ. შარლი რათმენდი დე-ლა-კრუა შევრიერი, გრაფი დე-სენ-ვალე, სენატორი, რწმუნებული პირი და წარმომადგენელი საფრანგეთისა გერმანიის იმპერატორის სასახლის წინაშე, პრუსიის კოროლისა.

უგ. ფელიქს იპოლიტი დეპრე, სახელმწიფოს მობჭე, რწმუნებული მინისტრი პირველის ხარისხისა, აღმსრულებელი თანამდებობისა პოლიტიკის დეპარტამენტის გარეშე საქმეთა მინისტრისა; მისმა დიდებულებამ კოროლევამ შეერთებულის საკოროლოების და ისლანდიის, იმპერატრიცამ ინდიისამ:

მაღალ-პატივცემული ვენიამინე დიზრაელი, გრაფი ბიკონსფილდი, ვიკონტი იულენდენისა, პერი პარლამენტისა, წევრი საიდუმლო საბჭოსი მისის დიდებულებისა, პირველმა ლორდმა მისი დიდებულების ხაზინისა და პირველი მინისტრი ინგლისისა;

მაღალ პატივცემული რობერტ არტური ტალბოტ ღასკოინ სესილი, მარკიზი სალისბიური, ვიკონტი კრანბორნისა, ბარონი სესილიისა, პერი პარლამენტისა, წევრი მისი დიდებულობის საიდუმლო საბჭოსი, თავი სტატს-სეკრეტარი მისის დიდებულებისა გარეშე საქმეთა დეპარტამენტში, და

მაღალ პატივცემული ლორდი ოდო უილიამ ლეოპოლდ როსელი, წევრი მისი დიდებულების საიდუმლო საბჭოსი, წარმომდგენელი მისი დიდებულების გერმანიის იმპერატორის სასახლის წინაშე, პრესიის კოროლისა;

მ ი ს მ ა დიდებულებამ იტალიის კოროლმა: გრაფი ლუიჯი კორტი, სენატორი და მინისტრი გარეთა საქმეების მისი დიდებულობისა და გრაფი ედუარდი დე-ლონე, წარმომადგენელი სასახლის წინაშე მისი დიდებულების გერმანიის იმპერატორის და პრუსიის კოროლისა·

მ ი ს მ ა დიდებულებამ იმპერატორმა სრულისდ რუსეთისამ:

თავადი ალექსანდრე გორჩაკოვი, კანცლერი იმპერიისა.

გრაფი პეტრე შუვალოვი, ღენერალი

კავალერიისანი, გენერალ-ადიუტანტი, წევრი სახელმწიფო საბჭოსი, წარმომადგენელი მისი დიდებულების ბრიტანიის სასახლის წინაშე;

ტაინი სოვეტნიკი პავლე უბრი, წარმომადგენელი მისი დიდებულებისა წინაშე სასახლისა გერმანიის იმპერატორისა და პრუსიის კოროლისა;

მისმა დიდებულებამ ოთომანების იმპერატორმა:

ალექსანდრე კარატეოდორი-ფაშა მინისტრი საზოგადო სამუშაოთა მისი დიდებულებისა;

მეჰმედ ალი-ფაშა, მუშირი იმის ჯა- სადულ-ახ-ბეი, წარმომადგენელი წინაშე სასახლისა იმისი იმპერატორების დიდებულებისა გერმანიისა, პრუსსიის კოროლისა—

რომელთაც, წინადადებითა ავსტრი-ვენგრიისა და გერმანიის სასახლის მოწვევითა შეეკრიბნენით ბერლინში, რწმუნების ქაღალდებითა.

# განცხადებანი


დაიბეჭდა და ისყიდება უფ. ბიგო ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში; ახალი წიგნი.

## ლექსთა კრება

თ. გრიგოლ ორბელიანისა, ილია ჭავჭავაძისა, აკაკი წერეთლისა, ანტონ ფურცელაძესი, ივანე კერესელიძესი, იოსებ ბაქრაძესი და სხვებისა.

შეკრებილი და გამოცემული ზაქარია ჭიჭინაძისა

ფასი ორი შაური.

გაიხსნა თფილისში

## ქართული წიგნის მაღაზია,

სადაც მსურველთ შეუძლიანთ მოიპოვონ ყოველგვარი ქართული ძველი და ახალი წიგნები.

მაღაზია იმყოფება ქაშვეთის ეკლესიის ქვეშოთ დუქნებში, № 2.

გარეშე ძცხოვრებთ შეუძლიანთ დაიბარონ ყოველგვარი ქართული წიგნები შემდეგის ადრესით: Въ Тифлисъ. Въ книжный магазинъ Григорія Чарквіани, въ зданіи Кашветской церкви, № 2.

ქუთაისში

ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში ისყიდება:

1) დედა ენა, ი. გოგებაშვილისა, ფასი 45
2) ანუკა ბატონიშვილი, ისტორიული მოთხრობა გრ. რჩეულოვისა ფასი 20კ.
3) ცოლი ვიტირო, თუ ფული? კომედია ალ. თუთაევისა, ფასი 30 კაპ.
4) ვეფხვის ტყაოსანი, შოთა რუსთველისა, ფასი 50 კაპ.
5) მეფე ლირი, დრამმა შექსპირისა, ფასი 60 კაპ.

და აგრეთვე სხვა ყოველგვარი ქართული და სახელმძღვანელო რუსული წიგნები კარტები, ატლასები, სურათები და სხვ.

ისყიდება თფილისში „ცენტრალურს წიგნის მაღაზიაში“ ქართული

## „სამზარეულო წიგნი“

შედგენილი კნა ბარ. ჯორჯაძისაგან. ფასი ათი შაური.

ისყიდება თფილისში „ცენტრალური წიგნის მაღაზიაში“ ქართული სამზარეულო წიგნი“. შედგენილი კ-ნ. ბარ. ჯორჯაძისაგან. ფასი ათი შაური.

გამოვიდა და ისყიდება

## „თამარ ბატონიშვილი“

ხუთ-მოქმედებიანი დრამმა საქართველოს მე-XIII საუკუნის ცხოვრებიდამ, გადმოკეთებული გრ. რჩეულოვის რომანიდგან „საქართველოს თამარ ბატონიშვილი“

კ. მეხისაგან.

ისყიდება: თფილისში—ყველა წიგნი მაღაზიებში, ქუთაისში—ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

ფასი ყველგან ექვსი შაური.

გამოვიდა და ისყიდება

## „ცოლი ვიტირო, თუ ფული?“

კომედია ალ. თუთაევისა

ისყიდება: ქალაქში—ყველა წიგნის მაღაზიებში და ალექს ჯიმშეროვთან, თელავს—იოსებ კუზმანაშვილთან, ქარელს—დავით ქურჩაშვილთან, ხაშურისა და ბექათუბნის უჩეტში, სურამს — ზაქარია არუწოვთან, ქუთაისს—იაკობ ოჰანეზოვთან და სვ. ცერვაძესთან ფოთში—მელისბარ ბაბალოვთან, ცხინვალს—თ. ივ. თაქთაქოვთან, საქაშეთს—თ. ნიკ. დიასამიძესთან, მეჯვრისხევს—მასწ. მოსე ნათაძესთან, გორში—სტ. ზომოევთან და თვითონ ავტორთან.

ვისაც ჰსურს მოიპოვოს **ახალი კევრი** შეუძლიან მიჰმართოს ნ. ავალიშვილს, (კუკიაში, ელისავეტინსკიქუჩაზე, № 108), რომელიც კისრულობს ამ კევრების გაკეთებინებას თავის ხელმძღვანელობით.


| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . | 9 | 21 | 5 | 18 | | | | |
| მცხეთა. . . | 10 | 11 | 6 | 27 | - | 68 | - | 38 |
| გორი . . | 11 | 58 | 9 | 43 | 2 | 40 | 1 | 33 |
| ხაშური . . | 1 | 29 | 11 | 57 | 3 | 92 | 2 | 18 |
| სურამი. . . | 1 | 44 | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა . | 5 | 49 | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| რიონი. . . | 6 | 57 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია . | 7 | 51 | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახ.-სენაკი . | 8 | 43 | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი. . . | 9 | 50 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი . . | 9 | 83 | | | | | | |
| ახ.-სენაკი. | 10 | 14 | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია. | 11 | 5 | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| რიონი . . | 12 | 13 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა. . | 1 | 18 | ღამე | | 3 | 98 | 2 | 21 |
| სურამი. . . | 5 | 12 | 1 | 10 | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური . . | 5 | 39 | 1 | 37 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი . . | 7 | 5 | 4 | 8 | [illegible] | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . | 8 | 50 | 6 | 59 | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი | 9 | 31 | 7 | 56 | 9 | 75 | 5 | 42 |

| ტელეგრაფი | მ. | კაპ |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| ქუთაისს, ფოთს . . | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნაღს | - | 50 |
| როსტოვს, ოდესას, მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში. | 3 | 50 |
| ინგლისში . . . . . . . . . | 3 | 75 |

ფოშტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ. |
|---|---|
| ლია წიგნის . . . . . . . . . . | 4 |
| დაზღვეულის (სამი მისხალი) | 8 |

| მაზარდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი, 15 ივლისს. | | |
| ფქვ. თეთ. ბანჯისა, ფთ. | 1 | 50 |
| ფქვილი წითელი. . . | 1 | 30 |
| ქერი ფუთი . . . | 1 | 15 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი . | 7 | — |
| —ამერიკისა, ფუთი . . | 7 | 50 |
| გაპენტილი ბამბა ფუთი. | 10 | — |
| მატყლი თუშური ფთ. | 8 | — |
| —თარაქამისა ფთ. . | 4 | — |
| აბრეშუმი ნუხური სტ. | 2 | — |
| ქონი, ფუთი. . . | 6 | 50 |
| ქონის სანთელი ფუთი. | 9 | — |
| სტეარინის სანთელი, ფ. | 12 | 80 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 81 |
| —ცხვრისა, ლიტრა . | — | 81 |
| სპირტი, ვედრო . . | 5 | 20 |
| შაქარი, გროც. ფუთი . | 7 | 70 |
| —ფხვნილი ფუთი . . | 6 | 40 |
| ყავა გრგვალი, გირვ. . | — | 70 |
| ზეთი ქუნჯუთისა ფუთ. | 13 | — |
| თამბაქო, საშუალო ფუთი | 8 | 50 |

## თფილისის სამკურნალო

ერევნის მოედანზე, წინამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 9—1 მდინ.

ორშაბათს: ქიუჩარიანცი—ხირურგი, გარალევიჩი—შინაგ. ავათმყ.

სამშაბათს: ვერმიშევი შინაგ. ავათმყოფობის, რეიხი და გახუტონი—გებიაობის თვალის.

ოთხშაბათს: ვერმიშევი—შინაგანი ავათმყოფ., ბაკეტი—გულის და ნერვების ავათმყოფ.

ხუთშაბათს: ვერმიშევი — შინაგანი ავათმყოფ. გავრინსკი—თვალის და ოპრუხტი—კბილის.

პარასკევს: ვერმიშევი—შინაგ. ავათმყოფ. გახუტოვი და ქიუჩარიანცი.

შაბათს: ვერმიშევი შინაგანი ავათმყოფობის., რეიხი—თვალის ავათმყოფ. და ბაკიტი—გულის და ნერვების.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 15 Іюля 1878 г. Типографія Меликова. გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორის. მესხი.